ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა და საფინანსო, საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი №13

ქ. ზუგდიდი **21 ივნისი 2023 წელი**

2023 წლის 21 ივნისს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა და საფინანსო, საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის სხდომა

სხდომას თავმჯდომარეობდა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

კომისიის სხდომას ესწრებოდა 11 დეპუტატი: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, ირაკლი გოგოხია, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, ჯონი ჯიქია, დავით ფიფია, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა 5 დეპუტატი: თაზო ფაცაცია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის 9 წევრი: ბესიკ გაბუნია, მალხაზ თორია, ედიტა კოდუა, ბეჟან შანავა, დავით ფიფია, ჯონი ჯიქია, ირაკლი გოგოხია, ოთარ ქადარია, ბესიკ ჭეჟია.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა 3 დეპუტატი: მანუჩარ ფიფია, თაზო ფაცაცია, პაატა ადამია.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: კონსტანტინე კაკავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილ, შალვა აგუმავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“-ს დირექტორი, ... - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“-ს დირექტორის მოადგილე, ... - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“-ს შესყიდვების განყოფილების უფროსი, ... - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“-ს მცენარეთა კოლექციის მართვის განყოფილების უფროსი, ... - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“-ს საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი; ირაკლი სორდია - საკრებულოს წევრი; მერაბ ჭაჭუა - საკრებულოს წევრი; ..... - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი; ..... - მოქალაქე.

სხდომას მდივნობდა: საკრებულოს მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....

სხდომა დაიწყო:15:00 საათზე;

სხდომა დამთავრდა: 16:30 საათზე;

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი სორდიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“-ს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

   თანამომხსენებელი: შალვა აგუმავა-ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“-ს დირექტორი

2. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი სორდიამ კენჭი უყარა სხდომის დღის წესრიგს

მომხრე - 11 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“-ს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

მომხსენებელმა გიორგი სორდიამ აღნიშნა: მეგობრებო მოვისმინოთ ანგარიში და შემდგომ დავსვათ კითხვები და გავაკეთოთ შეფასებები.

მოისმინეს: შალვა აგუმავა: წარმოგიდგენთ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის 2022 წლის წესდებით, ბიუჯეტით განსაზღვრული და ჩვენი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს.
ჩვენი მიზნებისა და ამოცანების შესახებ თავს არ შეგაწყენთ, რადგან ყველამ იცით რა არის ჩვენი ძირითადი მიზანი, ამოცანაც და შესაძლებლობებიც. დეტალურ ანგარიშში მოცემულია ჩვენი წესდებით განსაზღვრული ჩვენი მიზნები და ამოცანები. სწორედ ამ მიზნებისა და ამოცანების შესრულებას მივუძღვენით შარშანდელი წელი და მომავალი წელიც ასეა დაგეგმილი - განვავითაროთ ბოტანიკური ბაღი, ხელი შევუწყოთ მის განვითარებას, შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას.
ძირითადად მინდა საშტატო განრიგზე გავამახვილო ყურადღება. თქვენგანაც იყო ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი შეკითხვა. დღეის მდგომარეობით, ჩვენი საშტატო განრიგით 75 ადამიანია დასაქმებული ბოტანიკურ ბაღში. ძირითადად 5 განყოფილება მუშაობს ადმინისტრაციასთან ერთად და ადმინისტრაციაში დასაქმებულია 8 ადამიანი. მუშაობს კულტურული მემკვიდრეობის, ეკო-განათლების, ტურიზმისა და მარკეტინგის განყოფილება, სადაც არის 5 პოზიცია წარმოდგენილი; მცენარეთა კოლექციის მართვის განყოფილება - 21 პოზიცია; სასაწყობე, სამეურნეო და ზედამხედველობის განყოფილება - 31 პოზიცია; შესყიდვების განყოფილება - 2 პოზიცია; საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება - 8 პოზიცია. დავაზუსტებ, 2022 წლის მეორე ნახევარში, ნოემბრის დასაწყისში, საშტატო ნუსხაში განვახორციელეთ ცვლილება. კულტურული მემკვიდრეობის, ეკო-განათლების, ტურიზმის განყოფილება ახალი შექმნილია. დაემატა
კულტურული მემკვიდრეობის მიმართულება, რამეთუ ეს არის კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი. აქვე არის განთავსებული კულტურული მემკვიდრეობის სხვა ძეგლები. მათ შესაბამისი მოვლა და დაცვა სჭირდება.

ბოტანიკურ ბაღში ჩემი მისვლისთანავე ვნახეთ, საცავში დაცული იყო არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ნივთები. ამ ნივთებს სჭირდებოდა შესაბამისი მოვლა და მოპყრობა. ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მერიასთან ერთად, ბაღში კულტურული მიმართულება გაგვეძლიერებინა. ამ წელსვე იგეგმება, საგამოფენო დარბაზში განვათავსოთ ამ ეტაპისთვის აღდგენილი ნივთები, აღდგენის პროცესი კვლავ მიმდინარეობს და ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.
ასევე განხორციელდა შემდეგი ცვლილება. შტატში მუშაობდა 72 ადამიანი და შტატგარეშე იყო 3 თანამშრომელი. დღეის მდგომარეობით შტატგარეშე თანამშრომელი არ გვყავს და ისინი შეყვანილი არიან შტატში. შტატგარეშე იყო მძღოლი, აიტის სპეციალისტი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებაში შევიყვანეთ. ყველა თანამშრომელს თავისი ფუნქცია-მოვალეობები განესაზღვრა. თითოეულ ხელშეკრულებაში ასახული არის მათი ფუნქცია-მოვალეობანი და ზედმიწევნით იციან ვინ, რა, როდის და როგორ უნდა გააკეთოს და ვის წინაშეა პასუხისმგებელი. გადანაწილებულია უფლება-მოვალეობანი და ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ არის ბაღში.
ჩვენს შესახებ მინდა ინფორმაცია მოგაწოდოთ. რაც შეეხება ჯამურ ინფორმაციას, 2022 წელს, პანდემიის დასრულების შემდეგ, 1 თებერვლიდან ამოქმედებულა ფასიანი ტარიფები ბოტანიკურ ბაღში. ფასიანი და უფასო ტარიფების დამტკიცების შესახებ დეტალური ინფორმაცია გაქვთ ყველას. მინდა აღვნიშნო, ძალიან მოქნილი ტარიფებია, ყველასათვის მისაღები. არჩევანის საშუალებაც აქვთ. შეუძლიათ ერთჯერადი ტარიფი გამოიყენონ, შეუძლიათ - სააბონენტო სისტემა. თუ წლიურ აბონენტს შეიძენს ადამიანი, 7 თეთრი უჯდება დღეში ბოტანიკურ ბაღში შემოსვლა.

აზრი გამოთქვეს: ოთო ქადარია: 3-თვიანი „მეგობრული“ რა ჯდება?

მოისმინეს: შალვა აგუმავა: „მეგობრული“ 5 ადამიანზე 34 ლარი ღირს და დღიურად 16 თეთრი გამოდის; 3-თვიანს თუ აიღებს 12 თეთრი გამოდის ერთ ადამიანზე. ასევე არის თვიური აბონემენტები, რომლებიც 10 ლარი ღირს და არანაირი პრობლემა არ არის ამ მხრივ. ამასთან ერთად, ტრადიციად დამკვიდრდა ისიც, რომ ბოტანიკურ ბაღში თავისუფლად შემოსვლის საათები არის დადგენილი: 06:00-დან 09:00 საათამდე, 21:00-დან 23:00 საათამდე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ფართო სპექტრი არის უფასოდ შემომსვლელთა კატეგორია, რომ ძირითადად მაინც ჩვენი, საშუალო ასაკის ადამიანებს უწევთ ფასიანი ტარიფების გამოყენება. ასევე მინდა დავძინო, ჩემი პირადი განწყობაც, თავიდან რომ მივედი მაინც და მაინც არ იყო დადებით ფასიანი ტარიფების გამო, მაგრამ ჩემი ბავშვობიდან მოყოლებული, როგორც მე და ასევე თითოეულ თქვენთაგანს გახსოვთ, კომუნისტების პერიოდშიც 20 კაპიკი ღირდა ბოტანიკურ ბაღში შესვლა. ეს არის ბოტანიკური ბაღის დაცვის მექანიზმი. ფაქტობრივად ყველა ღონისძიება ბოტანიკურ ბაღში უფასოდ ტარდება და თითოეული უფასო დღე ბოტანიკურ ბაღს მინიმუმ 200-300 ლარის ზიანი უჯდება. რამდენი ხანი გაუძლებს ამას ბოტანიკური ბაღი?

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდია: ზიანში რას გულისხმობთ?

მოისმინეს: შალვა აგუმავა: 26 მაისი იყო უფასოდ შემოსვლის დღე. იმ დღეს ბოტანიკურ ბაღში 23 დაბალი ნათების ნათურა ისე დააზიანეს, რომ მხოლოდ 6-7 ექვემდებარება აღდგენას. უფასო დღეებში ან ნარგავი რომ არ გააფუჭონ, ან სხვა ზიანი არ მიაყენონ ისე არ ჩაივლის.

გიორგი კორტავა: კამერები არ გიყენიათ?

მოისმინეს: შალვა აგუმავა: მთელ პერიმეტრზე არ არის დამონტაჟებული, მაგრამ დავიწყეთ ეს პროცესი და ვაპირებთ გაგრძელებას.

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდია: დავუშვათ 12 წლის ბავშვმა დააზიანა და მერე რას ვშვებით?

ბეჟან შანავა: რას მოსთხოვ არასრულწლოვანს.

დავით ფიფია: ბავშვს პასუხისმგებლობას ვერ დავაკისრებთ, მშობელმა უნდა გადაიხადოს...

მოისმინეს: შალვა აგუმავა: არის ძალიან სასიამოვნო მოცემულობაც. 2022 წელს ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ფასიანი სერვისებით ისარგებლა 73 632 ვიზიტორმა, აქედან უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო - 3055 ვიზიტორი. ანუ დაახლოებით 74 ათასმა ადამიანმა ისარგებლა ფასიანი სერვისით.

აზრი გამოთქვეს: თამუნა ჯიქია: 23:00 საათამდე ღიაა ბოტანიკური ბაღი?

მოისმინეს: შალვა აგუმავა: დიახ, ღია 23:00 საათამდეა, მაგრამ თუ ვიზიტორი 23:00 საათამდე შემოვა, გასვლა ნებისმიერ დროს შეუძლია. 23:00 საათზე იზღუდება მხოლოდ შემომსვლელების ვიზიტი.
მოვარჯიშეებისთვისაც, რომლებსაც პრეტენზია ჰქონდათ, დილით რატომაა ფასიანი, ეს პრობლემაც მოხსნილია. იმისი პრობლემაც იყო, რომ არის სკოლა, სხვადასხვა დაწესებულებაში მომუშავე ადამიანები არიან და უმოკლესი მანძილი ბაღით გადასასვლელია. ნებისმიერს შეუძლია ისარგებლოს დილით ექვსიდან ცხრა საათამდე.
ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის პოპულარიზაციის, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების, ტურიზმის ხელშეწყობის, ეკო-განათლების, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს გაგაცნობთ.
უფრო ვრცელი ფორმატით წერილობით მაქვს როგორც მერიისთვის, ასევე თქვენთვის მიწოდებული ეს ინფორმაცია. სლაიდებზე შევეცადეთ ძირითადი მომენტები ამოგვეღო, იმიტომ რომ ძალიან ბევრი აქტივობა გვაქვს. პირველი და მნიშვნელოვანი იყო ის, და ეს წინა ადმინისტრაციის დამსახურებაა, მადლობა მინდა ზვიადს გადავუხადო და ეს პროცესი იმ პერიოდში იქნა დაწყებული, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი გაწევრიანდა ევროპული ისტორიული ბაღების მარშრუტის ასოციაციაში. მოვლენებს წინ გავუსწრებ და გეტყვით, რომ ახლახან იტალიაში ვიყავით. ამ მარშრუტის ფორუმი და საერთო კრება გაიმართა, სადაც ზუგდიდი მომავალი ფორუმის ჩატარების ადგილად წარვადგინეთ. მინდა ყველას მოგილოცოთ, 2024 წლის მაისის ბოლოსკენ 32 ევროპული ქვეყნის 47 ისტორიულ ბაღს უმასპინძლებს ზუგდიდი და აქ გაიმართება კონფერენცია. დავხვდეთ მათ შესაბამისად. თქვენი მხარდაჭერის იმედიც გვაქვს.
აქვე მინდა ვთქვა, რომ დადებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები 2 ორგანიზაციასათან - ა(ა)იპ „ათინათი“ (შეგირდების პროგრამა), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; ეს უკვე მუშა მემორანდუმებია.
მიმდინარეობს დუალური განათლების პროგრამა - 2022 წ. გადამზადდა 8 სტუდენტი;
ხორციელდება დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა - 2022 წელს მოსარგებლე იყო 9 სოციალურად დაუცველი პირი; ამ წელსაც დაემატა. ძალიან კმაყოფილები არიან და ჩვენც კმაყოფილები ვართ მათი მუშაობით. პოზიტიური პროგრამაა და ხელს უწყობს მათ განვითარებას. ძალიან კეთილგანწყობილი ადამიანები გვხვდება, დიდი მადლობა მათ ამისთვის.
ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ინიციატივით ჩატარდა დასუფთავების აქცია. 250 ადამიანზე მეტმა მიიღო მონაწილეობა;
გარემოსდაცვითი და ბუნებისდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა პროექტი „ღია გაკვეთილი ბუნებაში“ - მონაწილეობა მიიღო 17 საჯარო სკოლის 500-მდე მოსწავლემ;
ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 1 ივნისს გაიმართა ღონისძიება - დაესწრო 5000 მეტი ადამიანი;

ახალგაზრდულ სათათბიროსთან ერთად 2 – 12 ივნისს ბაღმა უმასპინძლა ღია ცის ქვეშ გამართულ საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთის პირდაპირ ტრანსლაციების - დაესწრო 5000 გულშემატკივარი;
ოქტომბერში ზუგდიდის ბოტანიკურმა ბაღმა პრემიერის მიერ ორგანიზებულ ფესტივალს ,,ღვინის დღეებს" უმასპინძლა - დაესწრო 7000 მეტი ადამიანი;
წინასაახალწლოდ ორგანიზებულ იქნა საბავშვო-გასართობი ღონისძიება, დარიგდა ბავშვებისთვის 550 სასაჩუქრე ნაკრები, მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, მონაწილეობა მიიღო 22 მეწარმე სუბიექტმა. ღონისძიებაზე დასწრება და წინასაახალწლო დღეებში ბაღში ვიზიტორთა შემოსვლა იყო უფასო. ღონისძიებას დაესწრო 5000 მეტი ადამიანი;
ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის Facebook გვერდზე ქვეყნდება ბაღის ისტორია, არქეოლოგია და ბოტანიკურ ბაღში არსებულ მცენარეთა შესახებ ინფორმაცია;
პერიოდულად ხდება საზოგადოების ინფორმირება ბოტანიკურ ბაღში მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ;
2022 წელს დაიწყო და 2023 წელს გაგრძელდება ბაღის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი არტეფაქტების აღდგენა-რესტავრაცია, რომელიც განთავსდება ჩვენს საგამოფენო დარბაზში, ასევე მიმდინარეობს ბაღთან დაკავშირებული ისტორიების მოძიება;
პირველ ფოტოზე ხედავთ თუ როგორ მდგომარეობაში იყო აღმოჩენის დროს ეს არტეფაქტები, შემდეგ არის მუშა მდგომარეობა, ნახევრად-აღდგენილი მდგომარეობაა, საბოლოოდ, დაახლოებით სექტემბრის თვეში საგამოფენო დარბაზი მოეწყობა, გამოიფინება ისტორიული სურათები, რომ გავაცოცხლოთ ბაღის ისტორია, გიდი მოემსახურება დამთვალიერებლებს, აქვე განთავსდება არტეფაქტები და დარბაზში შესვლა ყველა ვიზიტორისთვის უფასო იქნება.
გადავიდეთ მცენარეებზე.
ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის შენარჩუნების, განვითარება-გამრავალფეროვნების, ინფრასტრუქტურის მოვლის, მატერიალური ბაზის გაფართოების მიზნით ბაღის ადმინისტრაციამ და განყოფილებებმა განახორციელეს შემდეგი აქტივობები:
წლის განმავლობაში ღია გრუნტში მოეწყო მერქნიან და ბალახოვან მცენარეთა სანერგეები. სულ დაკალმდა: 19 368 კალამი. ამის შედეგს მომავალი წლის სექტემბერში დავინახავთ.
ბაღის ტერიტორიაზე დასარგავად გამოყვანილ იქნა ადრე გაზაფხულზე მოყვავილე დეკორატიულ ბალახოვან-ყვავილოვან მცენარეთა 21 105 ჩითილი, მოეწყო სულ 28 საყვავილე.
განახლდა 2 და მოეწყო 7 ხეივანი.
სულ დაირგო: 2600 ნერგი.
კოლექციის გამდიდრების მიზნით განხორციელდა სათბურში არსებული მცენარეების ინვენტარიზაცია, არის 118 სახეობის 2194 ცალი ყვავილოვანი მცენარე განთავსებული სხვადასხვა ზომის ქოთნებში.
შემოტანილ იქნა: ნაძვი, ევკალიპტი ლანცეტისებრი, მრგვალფოთოლა (ვერცხლისფერი) ევკალიპტი, პოდოკარპუსი, ლავზონიის ხემაციპარესი, აგავა, ცეფალოტაქსუსი, ტუია სმარაგდა, კამელია, ასევე ბათუმის ალპური ბოტანიკური ბაღიდან ინტროდუცირებულ იქნა 3 სახეობის 5 ძირი მერქნიანი მცენარე (ძახველი, წყავი, ნეკერჩხალი). გახარების პროცენტიც ძალიან მაღალია.
დავიწყეთ სანერგეს აღდგენა. 2-3 წელიწადში, დაახლოებით 25-27 სახეობის მცენარე, ბაღს ექნება არა მარტო იმ რაოდენობის ნერგები, რაც თავად სჭირდება, არამედ ის რაოდენობა, საუბარია მერქნიან მცენარეებსა და ბუჩქებზე, რომელიც ქალაქსა და მუნიციპალიტეტს დასჭირდება. უნიკალური მცენარეებია: სექვოია, ხე ტიტა, კედარი და ა. შ.
ჩატარდა ჰერბარიუმის ინვენტარიზაცია. შეგროვდა როგორც ბალახოვან-ყვავილოვან, ასევე ხე-მცენარეთა ჰერბარიუმი, რომელიც აღრიცხული და ეტიკეტირებულია ოჯახის, გვარისა და სახეობის მიხედვით. სულ შეგროვდა 104 სახეობის ჰერბარიუმი (414 ცალი).

რა კეთდება ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის შენარჩუნების, განვითარება-გამრავალფეროვნების, ინფრასტრუქტურის მოვლის, მატერიალური ბაზის გაფართოებისთვის?
მცენარეების მოვლის მხრივ არის რთული მდგომარეობა. როგორც მოგეხსენებათ, ბოტანიკურ ბაღში გრუნტის ჰუმუსოვანი ფენა არის დაახლოებით 40-60 სანტიმეტრამდე. მერე იწყება წყალგაუმტარი ფენა. ამიტომაცაა, რომ მცენარეებს ზედაპირული ფესვები აქვთ განვითარებული. ფესვების სიღრმისეულად განვითარების მცენარეებსაც კი ფესვები ზედაპირულად აქვთ განვითარებული. სამწუხაროდ, ეს მთლიან ტერიტორიაზეა. მერიისა და ჩვენი მეგობრების დახმარებით, წელს ჩვენ შემოვიტანეთ კარგი ჰუმუსოვანი მიწა, რითაც შევძელით ორ სექტორზე მდგომარეობა გამოგვესწორებინა. სიმართლე გითხრათ, ათი ათასი კუბი რომ შემოიტანო ეს მიწა, ყველას დავიტევთ, მხოლოდ გაშლა და მუშაობაა საჭირო. ეტაპობრივად უნდა დავიწყოთ ეს სამუშაოები.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდია: რომ შემოიტანოთ ამის პოტენციალი არის?

მოისმინეს: შალვა აგუმავა: ვცდილობთ. თქვენ იცით, მიწა არ იყიდება. მუნიციპალიტეტი რომ ახორციელებს არხის ამოწმენდით სამუშაოებს, მშენებლობის დროს რომ იხსნება ზედა ფენა მაშინ ვახერხებთ შეტანას.

აზრი გამოთქვეს: ბესო გაბუნია: კერძო სექტორთან ხომ შეიძლება, დავუშვათ?

მოისმინეს: შალვა აგუმავა: ოფიციალურად არ შეიძლება, ვერ იყიდი ვერანაირად. თუმცა ეტაპობრივად შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება. ამასთანავე მინდა აღვნიშნო, დასუფთავებისა და მოვლის მხრივ კარგი მდგომარეობაა ბაღში.
გამხმარი ხე მცენარეები და გამხმარი ტოტები 2022 წელს საკმაოდ რთულ ვითარებაში იყო. დაახლოებით 20-25 დღე დაგვჭირდა იმისთვის, რომ ბილიკები გაგვეთავისუფლებინა ამ გამხმარი ტოტებისგან. შემოსული ადამიანი სასეირნოდ შემოდის და ზემოთ არ იყურება. ძირითადი ლოკაციის ადგილები უსაფრთხო და გაწმენდილია. კულტურის სამინისტროდან ველოდებოდით ნებართვას, ნებართვაც მოსულია, მოსაჭრელიც გვაქვს გამხმარი ტოტები, მაგრამ, სამწუხაროდ, ამინდები არ გვიწყობს ხელს. თუ არ გაშრა ზედაპირი ისე ვერ მოხერხდება. ეს არ არის ისეთი ადგილი რომ ქვემოდან მოხერხდეს მოჭრა, საჭიროა მძიმე ტექნიკა, სპეციალური ამწეკრანი და მშრალი ზედაპირი უნდა დახვდეს სამუშაოდ. აქვე მინდა აღვნიშნო, 2022 წელს 158, 3 კუბური მეტრი საშეშე მასალა გადავეცით კეთილმოწყობის ცენტრს. შეშა სოციალურად დაუცველ პირებს გაუნაწილდათ.
მოვიყვან ერთ ფაქტს. იანვარში ძლიერი ქარების დროს მხოლოდ ერთი ჭადრის გადაბელვამ ორი დღე წაგვართვა და მინიმუმ 3200 ლარი დაგვიჯდა. მუნიციპალიტეტს კეთილმოწყობის ცენტრს ყავს 22-მეტრიანი ამწე, ყველანაირად ხელს გვიწყობენ და გვეხმარებიან, მაგრამ ჩვენ დაგვჭირდა 32-მეტროიანი ამწე, რომელიც ფოთიდან გამოვიძახეთ. ესეც პრობლემაა.
ფინანსურ ნაწილზე მინდა გადავიდე. გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 94 ხელშეკრულება.
ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება - 179 356.42 ლარია.
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი - 56 805 ლარი.
საკუთარი შემოსავლები - 122 551.42 ლარი.
სტრუქტურა, დინამიკა შესყიდვებისა ასეთია: ერთი ელექტრონული ტენდერი ჩავატარეთ. ძირითადად საახალწლო განათებებზე იყო.
გამარტივებული ტენდერით გაფორმდა 87 ხელშეკრულება.
კონსოლიდირებული ტენდერით გაფორმდა 6 ხელშეკრულება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან სუბსიდიის სახით მიღებულმა დაფინანსებამ შეადგინა - 870 000 ლარი. აქედან საკასო ხარჯი იყო თითქმის იგივე ფაქტობრივად - 869 844.32 ლარი. შრომის ანაზღაურება იყო ძირითადი ნაწილი - 717 622.05 ლარი;
საქონელი და მომსახურება - 103 261,02 ლარი;
მოსაკრებლები - 50 ლარი;
დამსაქმებლის მიერ გაწეული ფულადი სოციალური დახმარება - 4868,25 ლარი;
არაფინანსური აქტივების ზრდა - 44 043 ლარი.

2022 წელს საკუთარი შემოსავლებიდან მიღებულმა თანხამ შეადგინა 161 379,56 ლარი. აქედან გახარჯულ იქნა: საქონელი და მომსახურება - 127 745,16 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა - 33 634,4 ლარი; ნაშთი წლის ბოლოს - 7 059.32 ლარი.

ასევე ვისაუბრებ არაფინანსური აქტივების ზრდაზე. განხორციელდა ეს საკუთარი სახსრებითა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით.
წარმოგიდგენთ 2022 წელს განხორციელებულ ძირითად პროექტებსაც.
ბოტანიკურ ბაღს არ ჰქონდა აბრა. კონსულტაციებისა და აზრთა შეჯერების შემდეგ დამზადდა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის აღმნიშვნელი საინფორმაციო აბრა და განთავსდა ორივე შემოსასვლელთან. ამისი ღირებულება იყო 1600 ლარი.
შემდეგი პროექტი, რომელიც სასწრაფოდ საჭიროებდა განხორციელებას ეს იყო ვოლიერის სახურავის შეცვლა. შეიცვალა ვოლიერის სახურავი, გადაიხურა ბადით და შეიღება. 1146 ლარი დაჯდა ამ პროექტის განხორციელება.
მოეწყო ახალი სივრცეები. კეთილმოწყობის სამსახურს მინდა მადლობა გადავუხადო. მათ გადმოგვცეს ბუნგალოები. მართალია, ცოტა შელახული იყო, მაგრამ ჩვენ შევარჩიეთ რამდენიმე, რომელთა განახლებასაც შევძლებდით, შემოვიტანეთ გა განვათავსეთ 3 ლოკაციაზე. ჯამში ეს პროექტი დაგვიჯდა 785 ლარი. ერთ-ერთი ბუნგალო ჩვენი ვეტერანებისა და პენსიონერების თავშეყრის ადგილი გახდა. მათ მიერაა ეს ლოკაცია შერჩეული. სადაც გვითხრეს და მიგვითითეს იქ განვათავსეთ.
საფეხმავლო ბილიკები განახლდა. ჩვენი ისტორიული ორანჟერიის მიმდებარე ტერიტორია სავალალო მდგომარეობაში იყო. პროექტი მზადაა, მაგრამ ამისთვის 3,5 მლნ ლარს როდის გამოვნახავდით, ამას ვერ დაველოდებოდით, ამიტომ ორანჟერიისა და მებაღის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა საფეხმავლო ბილიკის მოკირწყვლა მოზაიკის ქვის ნამცეცებით. განახლდა ბილიკები, გალამაზდა, ჯამში დაიხარჯა 3200 ლარი, რაც მოზაიკის ქვის ნამცეცების საფასურია. სამუშაოები ჩვენი რესურსით განვახორციელეთ.
მასშტაბური პროექტი გამოგვივიდა დახურული და ღია ტიპის სანიაღვრე არხების მოწყობა. მრავალწლიან ნარგავებს დიდი ზიანი მიადგა ჭარბი წყლის დაგროვების გამო. შეუქცევადი პროცესები გამოიწვია. ჯამში ამოიწმინდა 140 გ/მ ღია ტიპის სადრენაჟე არხი და 500მმ დიამეტრის მილით დაერთდა ქალაქის სანიაღვრე არხზე. გაკეთდა 180 გ/მ 5 დახურული ტიპის სადრენაჟე არხი. მადლობა მინდა გადავუხადო ნახევარ ზუგდიდს, ყველანი გვერდით გვედგნენ, ჩართული იყვნენ საკრებულოს წევრები, მერი, ახლობლები, მეგობრები, ვისაც კი გული შესტკიოდა. მხოლოდ ბაღის თანამშრომლების გაკეთებული საქმე არ არის. არხები გაიჭრა, ტესტირება გაიარა, მუშაობს, ვიცით წყალი საით უნდა გავიყვანოთ.
ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში არსებული სანიაღვრე თხრილის ამოწმენდით, ბილიკის გადაღმა მდებარე თარგების დაერთებით და ქალაქის 500 მმ დიამეტრის სანიაღვრე არხზე მიერთებით აღმოიფხვრა აღნიშნულ ტერიტორიაზე ნაწვიმარი წყლის ხანგრძლივი ვადით დაგროვება, ტერიტორიის დაჭაობება და ხეების წაქცევის საფრთხე მინიმუმამდე დავიდა.

დახურული ტიპის სადრენაჟე არხების მოწყობით და ჭარბი წყლის მოცილებით ოპტიმალური პირობები შეიქმნა მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხია: ეს რა ადგილას არის, ბატონო შალვა?

მოისმინეს: შალვა აგუმავა: ყოფილი სტადიონი სადაც იყო განთავსებული, სკეიტ-პარკის ტერიტორიაზე. აქვე მინდა ბადრი მესხს მადლობა ვუთხრა...

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხია: ღობე რომ წაშალეს და შეამცირეს იქ?

მოისმინეს: შალვა აგუმავა: დიახ, ზუსტად იმ ადგილას, რომ შეამცირეს, ძველი არხები, რომ ამოავსეს და გასასვლელი არსად ჰქონდა წყალს. ეს იყო პრობლემა. ახლა გასასვლელი ნაპოვნია.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხია: წინა მთავრობის დროს რომ გააკეთეს ველოსიპედის ბილიკი, ის არხები მაშინ ამოივსო.

მაია კალანდია: დასამალი რა არის, ვინც ამოავსო იმასთან თქვენ უფრო ახლო ურთიერთობა გქონდათ.

ირაკლი გოგოხია: მიშასთან? ალიკა ქობალიასთან? ალიკა არასდროს იყო ჩემი მეგობარი!

დათო ფიფია: არხები ბეტონირებულია?

მოისმინეს: შალვა აგუმავა: ღია არხს სჭირდება ყოველთვის მოვლა და ბეტონი რომც გაუკეთო მაინც მოვლ იქნება საჭირო, ხეებთან არის განლაგებული და ფოთლები იყრება ხეებიდან, მიწაც ჩაცვივდება, თუ არ ამოწმინდე შლამი გროვდება... გინდა ბეტონო გაუკეთე, გინდა - ქვა, მაინც ამოწმენდა ჭირდება. ესთეტიკურ მხარეზე თუ ვიზრუნეთ, შესაძლოა ქვით ამოვაპირკეთოთ და არა ბეტონით. ეს არხი თავის საქმეს აკეთებს იმითაც, რომ იმ ლოკაციაზე გვერდებიდან აშრობს იმ ადგილს, იქიდანაც წყალი გაედინება და რაც ყველაზე მთავარია, ის გასასვლელი, რომელიც დაგვიტოვა, იმ დროს როცა მუშაობდა ბატონი ირაკლი ბადრი მესხთან ერთად, და ის შემოსასვლელი არხი იქ გააკეთეს, ამან მოგვცა საშუალება, 500-იანი მილი დაგვეერთებინა, რომელიც გადადის შემდეგ 800-იანში, 800-იანი - 1000-იანში და აქედან ჩაედინება ჩხოუშიაში. ტესტირების რეჟიმში იყო ჩართული. ძლიერი წვიმების პერიოდში იმ ადგილას ჩვენ პრობლემა აღარ გვქონია. გაატარა წყალი. ღია არხი სადაც გვქონდა იქ უცებ გადის წყალი, არანაირი პრობლემა არ არის. დახურული არხები კი თავის ფუნქციას ასრულებს. დახურული არხი იმისთვის არ არის, რომ ერთდროულად წაიღოს წყალი. მთავარია, რომ ერთ დღეში, დღენახევარში გააშროს ის ადგილი. ჯამში, ჩვენ 140 გრძივი მეტრი ღია არხი გავაკეთეთ ამ პროექტით და 180 გრძივი მეტრი დახურული არხი.

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფია: ბატონო შალვა, ამ არხების ყოველწლიურად ამოწმენდა, რა თქმა უნდა, საჭიროა, ხომ არ ჯობია არხები ქვით ამოპირკეთდეს, გაბიონს რომ ეძახიან, მხოლოდ „ტრანშეი“ რომ არ იყოს, ბოდიშს ვიხდი ჟარგონისთვის, ანუ მხოლოდ მიწა რომ არ იყოს, რომ არ ამოივსოს, ან რომ არ ამოავსონ როგორც წინათ, არ ვიცი ვინ ამოავსო, რომ გაკეთდეს სამუდამოდ...
მოისმინეს: შალვა აგუმავა: სანამ ამას გავაკეთებთ, ხომ არ ჯობია, რომ მოვრჩეთ ეს არხები საბოლოოდ იმიტომ, რომ ზუსტად ვიცოდეთ სად, როგორ უნდა გაკეთდეს, რის დამატებას მოითხოვს, კაპიტალურად რომ გაკეთდება ხომ არ გატეხავ ხარვეზის შემთხვევაში? ახლა გვაქვს საცდელი ეტაპი, გაატარა წყალი არხებმა, უკვე შეგვიძლია სხვა ნაკადებიც მივუშვათ. 140 გრძივი მეტრი რომ არის

გათხრილი იმას უნდა მივამატოთ 80 მეტრამდე გრძივი არხი, ყველა თარგი უნდა გადავიყვანოთ და მივიყვანოთ იმ სადინართან. უმჯობესია ეს პროცესები დავასრულოთ და მერე ვიფიქროთ მოპირკეთებასა და ესთეტიკურ მხარეზე. მთავარია წყალი მოვაშოროთ იქაურობას. რაც ყველაზე დიდი პრობლემაა ბაღში, ესაა ფესვის სიდამპლე. ჭარბმა ნალექმა დაალპო ფესვი, ხეს დიდი განტოტვა აქვს, ფესვი კი მოკლე და დამპალი, რაც იწვევს ხეების წაქცევას უქარო ამინდშიც კი.

შემდგომი პრობლემა, რომელიც ბაღში იყო და ვიზიტორებსაც და ჩვენს თანამშრომლებსაც უქმნიდა პრობლემას, ეს არის სალაროს ფანჯრები, რთული პოზიციით იყო გაკეთებული, ტროსზე ჩამოკიდებული, ტროსი წყდებოდა, ვარდებოდა მძიმე მინა და შეიძლება დაეზიანებინა ვიზიტორი ან მოლარე. კარებიც დეფორმირდა მზისგან. შევცვალეთ ყველაფერი. ეს პროექტი დაგვიჯდა 1900 ლარი და არის უსაფრთხო, ლამაზი, მოხერხებული.

ასევე ამორტიზებული იყო ტექნიკა. ბაღის ბალანსზე რიცხული ტექნიკის შეკეთება - ავტომობილი ფორდი, „ბობკატი“, 2 ელ. სკუტერი - დაგვიჯდა 7510 ლარი. ამ ეტაპზე ტექნიკა მწყობრშია.
ბოტანიკურ ბაღში ვიდეო სათვალთვალო სისტემის მონტაჟი, სალაროებსა და სამეურნეო შენობაში ინტერნეტის მიყვანა განხორციელდა, თავისი ჩამწერი მოწყობილობით. გვრჩება ტბის მეორე მხარე, ორანჟერიის ტერიტორია, სადაც გვინდა დავამატოთ დაახლოებით 8 კამერა. ამჟამად მუშაობს 14 კამერა ჩამწერი მოწყობილობით, რომელიც 17-18 დღე ინახავს ინფორმაციას. პროექტის ღირებულება 4 734 ლარია.
რთული ამოცანა იყო ბოტანიკური ბაღის ღია სივრცეში სეზონური დიდი ზომის ყვავილნარის მოწყობა. იყო 28 ყვავილნარი, მაგრამ სხვადასხვა ლოკაციაზე, შესაბამისად მასშტაბური ეფექტი, რაც ბოტანიკურ ბაღს უნდა ჰქონდეს, არ ჰქონდა. შარშან 2600 ჩითილი შემოვიტანეთ შემოდგომა-ზამთრის ყვავილების - სამფერა იები, ვიოლები. გაამართლა ამან, ძალიან ლამაზი გამოვიდა. ამის შემდგომ განვახორციელეთ წელს სხვა პროექტი, რაც ბევრმა თქვენგანმა ნახა და ძალიან ლამაზი გამოვიდა. ვაპირებთ ამ პროცესის გაგრძელებას. ეს პროექტი 2600 ლარი დაგვიჯდა.
შემდეგი პროექტია ორანჟერიის საკარანტინო ოთახის მოწყობა. ტექნიკურად სათანადოდ აღიჭურვა საკარანტინო ოთახი დაავადებული მცენარეების რეაბილიტაციისა და დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით. ამ პროექტისთვის გაიხარჯა 1600 ლარი.
ბაღის საახალწლო განათება. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი საახალწლო ილუმინაციებით მოირთო. მასშტაბური პროექტი გამოვიდა. დავუკვეთეთ კომპანიას სამუშაოების განხორციელება, რომელმაც 48-ათასიანი ხარჯთაღრიცხვა გამოგვიგზავნა. აქედან მხოლოდ 28 ათასი იყო საახალწლო ნათურების შესაძენად, დანარჩენი იყო სამუშაოებისთვის. ტენდერი გამოვაცხადეთ მხოლოდ შესყიდვაზე და ბაღის პერსონალის ძალისხმევით, ერთობლივად, დაახლოებით 2-3 კვირის მანძილზე, ჩვენი ხელით დავამონტაჟეთ ყველაფერი. დიდი მადლობა ამისთვის ჩვენი ბაღის თანამშრომლებს. პროექტის ღირებულებაა 26 676 ლარი.
ჩატარდა საახალწლო ღონისძიება. მონაწილეთა რაოდენობა 5000-ზე მეტი ადმიანი, დარიგდა საჩუქრები 550 ბავშვზე. ვიზიტორთათვის ბაღში შემოსვლა იყო უფასო. ეს პროექტი ჯამში დაგვიჯდა 4800 ლარი. დადებითი გამოხმაურებაც ჰქონდა.
გმადლობთ ყურადღებისთვის.

აზრი გამოთქვეას: გიორგი სორდია: მადლობა ყველაფრისთვის რაც გაკეთდა, რასაც აკეთებთ. მონდომება არის.

მოისმინეს: შალვა აგუმავა: უკაცრავად, გაწყვეტინებთ, მაგრამ გამომრჩა და მინდა დავძინო. მადლობა მინდა გადავუხადო მესხიას უნივერსიტეტს, რომელთანაც დუალურ პროექტს ვახორციელებთ. ძალიან კარგი ახალგაზრდების ჯგუფი გამოგვიგზავნეს. შარშანაც ძალიან კარგი ახალგაზრდები

იყვნენ. 8 ბავშვმა გაიარა ჩვენთან სწავლება და პრაქტიკა. ჩვენი სახსრებიდან ვუხდით ამ ბავშვებს ანაზღაურებას, მიზერულია მაგრამ ნუ რაც არის, თვეში 150 ლარი. წელსაც შესანიშნავი ახალგაზრდები არიან. მათი დახმარებით გაკეთდა ყვავილნარი. მიხარია, რომ ზუგდიდში ასეთ შესანიშნავი, მოტივირებული ახალგაზრდები იზრდებიან. მადლობა მათ ამისთვის.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდია: ერთი შენიშვნა მინდა გითხრათ. ვიზიტორებმა გამოთქვეს უკმაყოფილება. საპირფარეშოსთან, შიდა პერიმეტრი მოუწესრიგებელია. დაზიანებულია სარკე. აუცილებელია ამის მოწესრიგება.
ასევე, კარგი იქნება, საკრებულოს ადმინისტრაციაში გამოაგზავნოთ პროექტები, ჩვენც რომ ჩავერთოთ. ბანერთან დაკავშირებით თქვენ ისაუბრეთ და ჩვენ ამ პროცესებში არ ვიყავით ჩართული.

მოისმინეს: შალვა აგუმავა: რაც შეეხება სამეურნეო ნაწილს. ყოველ საათში, საათნახევარში მიდის დამლაგებელი საპირფარეშოსთან. პრობლემაა ის, რომ საპირფარეშოდან გააქვთ ინვენტარი, ყველას ჩანთას ხომ ვერ შევუმოწმებ, განსაკუთრებით ზამთარში.
პროექტებს რაც შეეხება. ასეთი პრაქტიკა დავნერგეთ ბოტანიკურ ბაღში, თითოეული პროექტი, რომელსაც ვახორციელებთ, კომისია შევქმენით, ყველა განყოფილების უფროსი და ყველა მთავარი სპეციალისტი არის ამ კომისიის მონაწილე, კომისიის სხდომებზე იხილება პროექტები და მოგიწვევთ თქვენც.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელია: თევზებთან დაკავშირებით საერთოდ არაფერი გითქვამთ.

მოისმინეს: შალვა აგუმავა: თევზების ერთი ნაწილი უკვე გამოვიყვანეთ. ადმინისტრაციის წინ რომ აუზია, იქ ზის დაახლოებით 250 თევზი. გაიზარდნენ. შემოსასვლელთან სადაცაა აუზი, იქაა ინკუბატორი, იქ მრავლდებიან, გადაგვყავს ადმინისტრაციის წინ მდებარე აუზში, იქიდან კი გადავიყვანთ დიდ აუზში. დაახლოებით 1000-1500 ფერადი თევზი თუ დავამატეთ, შავებს გადავიყვანთ და გავაფერადებთ იქაურობას.

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდია: შარშან, როცა ბოტანიკური ბაღის ანგარიშს მოვუსმინეთ, ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ, ზვიადსაც და მეც გვაკავშირებდა ურთიერთობა. გაბრაზდა შენიშვნები რომ მივეცი. ვფიქრობ, ის შენიშვნები იყო სწორი და მიუკერძოებელი. ზოგიერთს გონია, გიჟი ვარ და იმიტომ ვამბობ, არ ვარ გიჟი, ვარ სუბიექტური, არ ვარ ქრისტე ღმერთი, მაგრამ ვამბობ იმას რაც არის ობიექტური რეალობა. მე ბოტანიკურ ბაღში დავდივარ მაშინაც, როცა ვხედავ დირექტორსაც და ადმინისტრაციასაც, დილის საათებშიც. მაქვს ერთი შენიშვნა. რაღაც პერიოდი მაინც გამოყავით, რომ ველოსიპედით იყოს შესაძლებელი გადაადგილება, საათით, საათნახევრით მაინც იყოს შესაძლებელი შიგნით შესვლა. თხოვნაა ჩემი. ბევრი არ არის ვინც დადის ველოსიპედით. ფეხით ვერ დავდივარ. ახლა, ჩემს გამო არ გააკეთოთ, მაგრამ ერთ საათი მაინც დაუშვით. ევროპის ყველა ბაღში არის ველოსიპედით შესვლა. არ არის გადატვირთული რვიდან ცხრა საათამდე, დილის საათებში მაინც.
პირადად ჩემი თხოვნაა, ზუგდიდელებისთვის იყოს ბაღში ვიზიტი უფასო, სხვებს გადავახდევინოთ. არ იქნება დისკრიმინაცია - ზუგდიდია. რაც შეეხება სხვა დანარჩენს. ყურადღებით ვაკვირდები, ვუყურებ, იმიტომ კი არა, რომ ვინმეში კრიტიკას ვეძებ. რაც კარგი ხდება მომწონს. ბულვარში კარგი ხდება და ბრწყინვალედ არის გაკეთებული მცენარეები, მომწონს და მიხარია. რაც წინათ იყო გაკეთებული, იყო ცუდი და მწყინდა. რაც ახლა ბოტანიკურ ბაღში კეთდება მიხარია. პირველ რიგში მიხარია, არხები რომ გაიჭრა და აქ რომ ვვაჭრობდით ერთმანეთთან კოსტა, მე, დანარჩენები რომ დაჯდებაო 50 000 ლარი, 200 000 ლარი და საიდან მოვიტანოთ, ვის მივმართოთო... მოინდომეთ და გააკეთეთ ხო? ვნახე ის ორი ხეც რომ მოითხარა, მეწყინა. ვინც აქ ვსხედვართ ამ დარბაზში, ვერავინ მოვესწრებით იმხელა ხე რომ გაიზრდება და ჩვენ მას შევხედავთ.

ეს დღევანდელი საუბრის თემა არ არის, მაგრამ, ბატონო კონსტანტინე, ერთხელ ვიყავი მერთან და ვთხოვე და კიდევ გთხოვთ, დაიწყეთ იმ ბულვარში ჭადრების გადაბელვა. რას ველოდებით, მოითხაროს და ვიღაცას დაეცეს?
მადლობა ბატონ შალვა აგუმავას იმისთვის, რაც გააკეთა, რასაც აკეთებს, რაც ჩანს და რაც არ ჩანს. რაც არ ჩანს იმის უკანაც დევს უდიდესი შრომა. მე 450 კვადარატულში ვცხოვრობ სახლიან-ეზოიანად და იმას რომ მოვუაროთ ოჯახის წევრებმა, ამისთვის გვიწევს დიდი შრომა, თუნდაც ყვავილების მოვლა, ხეების გასხვლა და 25 ჰექტარი ტერიტორიის მოვლა, თან იმდენი ცუდი დანატოვარი, რაც შეცდომები იქნა დაშვებული, კარგ საქმესთან ერთად, რა თქმა უნდა, არ არის ამის აღმოფხვრა ადვილი. ამას რომ უდგებით პროფესიულად... არაფერი არ იმალება. ძველი კომუნისტების სიმღერა იყო: „შენი გმირობის ამბავი რადიომ მომასმინაო“ - სულ რომ აქ არ ვისხდეთ, იქ არ შევიდეთ მაინც გავიგებთ. არც იმას ვმალავთ რაც ცუდი იყო და ვიღაცამ რომ დაგეგმა და, ბატონო ირაკლი, ნიშნისმოგებით რომ ამბობთ, მიშა სააკაშვილიდან დაწყებული, არ არსებობს ცოცხალი ადამიანი ვის კრიტიკასაც ჩემგან არ გაიგებთ თუ ცუდი იყო გაკეთებული, არავის არ ვერიდები. ვინც ცუდად გაჭრა ის საველოსიპედე გზა...

ირაკლი გოგოხია: შარშან არ გითქვამთ და მადლობა ახლა რომ ამბობთ.

მაია კალანდია: შარშან არ დამდგარა ამის მომენტი, თორემ მაშინ, როცა ის საველოსიპედე გზა იჭრებოდა, მე და ჩემი მეგობრები შევუვარდით ვინც ჭრიდა და იმასაც ვინც აკეთებდა, ვეჩხუბეთ კიდეც და მაგასთან დაკავშირებით იყო ძალიან დიდი ამბები. ახლა გეუბნებით. შარშან არ დამდგარა მომენტი რომ ეს თქმულიყო, თორემ არავის ვერიდები, არავის მოვერიდები არასდროს. მადლობა იმისთვის, რასაც აკეთებთ. ჩვენი მხარდაჭერა თუ საჭირო იქნება, აგერ ვართ. პარტიები წავლენ, მოვლენ, მაგრამ ეს ბოტანიკური ბაღი არის 170 წლის და დარჩება. თუ რამე კარგის გაკეთებას შევძლებთ, დარჩება ჩვენ შვილებს და ჩვენ მომავალს. თუ გაითვალისწინებთ იმას, რაც გითხარით, დიდი მადლობა.
შეკითხვა არ მაქვს. ვიყავით ჩვენ ყველანი ერთად, გავეცანით, ის კი არა, რომ წავიკითხეთ, იქამდე ერთი თვით ადრე ვნახეთ, შევხვდით, დავათვალიერეთ ყველა თხრილი, ყველა ორმო, სად რა კეთდება, სად რა ჩადის, რომელი ხე დგას საშიშროების წინაშე.

მოისმინეს: შალვა აგუმავა: ქალბატონო მაია, ისევ ზუგდიდელები ვანადგურებთ იმას, სხვა არავინ. რამდენი თაობა ნატრობდა იმას, რომ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი გადმოსცემოდა ზუგდიდს და ყოფილიყო ზუგდიდის საკუთრება. თუ ჩვენი საკუთრებაა, ხალხო, მოვუაროთ, გავუფრთხილდეთ. თუ ეს მიზერული გადასახადი არის პრევენცია ბაღის დასაცავად, იყოს ეს მიზერული გადასახადი. პირიქით, კიდევ წაადგება ბაღს და აგერ რამდენი პროექტი კეთდება იმ შემოსავლით.

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდია: მხოლოდ ზუგდიდელებისთვის.

მოისმინეს: შალვა აგუმავა: მხოლოდ ზუგდიდელები ანგრევენ ამას, ისევ ზუგდიდელი იპარავს იმ ყვავილს, სხვა არავინ.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხია: ბატონო შალვა, მომწონს ის, რომ შემოსავლები იზრდება. ე. ი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, მოსახლეობა ნელ-ნელა ეჩვევა, რომ ფული გადაიხადოს. ჩვენი უფროსი თაობა, ჩვენც ყოველთვის ვიხდიდით ბაღში შესვლის საფასურს, მაგრამ როცა აირია მონასტერი და არ ჰყავდა პატრონი ბოტანიკურ ბაღს, დაახლოებით 20 წლის განმავლობაში არავინ იხდიდა არაფერს. ხალხი რომ ეჩვევა და თქვენი შემოსავალი იზრდება - ეს მიხარია. როგორც აღნიშნეთ, დიდი ღონისძიებების დროს ვანდალიზმი მოქალაქეების მხრიდან დაახლოებით 500-600

ლარი გიჯდებათ. შეიძლება საკრებულოს სხდომაზეც არ არის სათქმელი, მაგრამ ფაქტი სახეზეა. ასეა, ხომ, ჩემო შალვა?

მოისმინეს: შალვა აგუმავა: ასეა ნამდვილად, ფაქტი სახეზე გვაქვს, მაგრამ ნელ-ნელა რომ მცირდება ასეთი შემთხვევები, ესეც ფაქტია. თუმცა ფაქტია ისიც, რომ სხვა არავინ აკეთებს, ისევ ჩვენი მოსახლეობა და ჩვენ ვაკეთებთ ამას.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხია: კიდევ ერთი საკითხი. ორჯერ ჩავარდა ტენდერი კაფესთან დაკავშირებით და თუ საკრებულოს აქვს მისაღები, მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას... შეიძლება დავწიოთ კიდეც ფასი. მთავარია, რომ ქირის ფასი იყოს რეალობასთან ახლოს. ბიზნესი, ბაზარი თავად არეგულირებს ფასს. ე. ი. მეტი იყო. თუ შემოიტანთ, ჩვენ დავუწევთ ფასს. აქ ვინც ვსხედვართ, სტუმარს შევიყვანთ იქ. ყველაზე უკეთესი ადგილია. ამიტომ თუ ტარიფი დასაწევია, დროზე შემოვიდეს მერია.

მოისმინეს: შალვა აგუმავა: მეორე ტენდერიც ჩავარდა. როგორც მოგეხსენებათ, გაქირავებული იყო. 5000-ზე მეტი იყო გადასახადი. ვერ გადაიხადა გადასახადი და გავაუქმეთ მათთან ხელშეკრულება. მივმართეთ აუდიტს, რომ შეეფასებინა. ლოკაციაც შევცვალეთ, ფასიც რომ დაწეულიყო. ფასი 3700 ლარზე ქვემოთ ვერ ჩამოვიდა აუდიტის შეფასებით. პირველად გავიტანეთ იმ ფასად, რაც აუდიტმა შეგვიფასა. იყო ძალიან ძვირი, ჩვენც ვხედავდით. მეორეზე 25%-ით შევამცირეთ. კანონმდებლობა ითვალისწინებს 50%-ით შემცირებას. პირველივე ჯერზე 50%-ით ვერ შევამცირებდით. შევამცირეთ 25%-ით და გავუშვით ხელმეორედ აუქციონზე. ხელმეორედაც რომ ჩავარდა, 40%-ით შევამცირეთ. ახლა გამოდის 2140 ლარი თვეში, რაც ნამდვილად არ არის კატასტროფული ფასი. თან ეს თანხა არის დღგ-სთან ერთად. ამ წინადადებით მერიას უკვე მივმართეთ.

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფია: ბატონო შალვა, მადლობას გეტყვით საფუძვლიანი პრეზენტაციისთვის. სულ მექნება ორი შეკითხვა. პირველი, შემოსავალი ვიზიტორებისგან, მაგრამ მაინტერესებს, ნერგებისგან, მცენარეებისგან... გვაქვს ძალიან ბევრი იშვიათი ჯიშის ხე, მცენარე, არის თუ არა გაყიდვებისგან შემოსავალი, რას გეგმავთ ამ მიმართულებით.
მეორე შეკითხვა. ასწლოვანი ხეები, რომლებიც საჭიროებს გამაგრებით სამუშაოებს. რა იგეგმება ამ მიმართულებით, რა საშუალებებით უნდა განხორციელდეს ეს.

მოისმინეს: შალვა აგუმავა: პირველ რიგში მცენარეების გაყიდვაზე მოგახსენებთ. წელს მივმართეთ მერიას და მოგვცა თანხმობა ერთწლოვან მცენარეების, ძირითადად ყვავილების გაყიდვის. წელს უკვე გაიყიდა და დეტალურად მომავალი ანგარიშის დროს მოგახსენებთ, დაახლოებით 3000 ლარზე მეტია უკვე შემოსული თანხა. საუბარია ძირითადად ქოთნის ყვავილებზე ღია გრუნტში დასარგავი ყვავილები ჩვენ თავად გვჭირდება, ჩვენ ვყიდულობთ და ამის ფუფუნება ჯერ არა გვაქვს. უკვე დავამკვიდრეთ პრაქტიკა. პირველი ნაწილი განვახორციელეთ, ახლა მეორე ნაწილითაც შევალთ მერიაში წინადადებით, უკვე სხვა ყვავილებზე იქნება საუბარი და პლიუს ამას, მართალია, გვაქვს უნიკალური ჯიშის მცენარეები, მაგრამ მათი ნერგების გამოყვანა არავის უფიქრია, ახლა გვაქვს სანერგე. მიდის ამ მიმართულებით მუშაობა. ნერგებს რაღაც კონდიციამდე მიყვანა სჭირდება, მინიმუმ სამწლიანი მაინც უნდა იყოს, რომ გაყიდო. პატარა ნერგს ვერ გაყიდი. ნერგი 60, 80 სანტიმეტრამდე ან მეტრნახევარი მაინც უნდა იყოს რომ გაიყიდოს. ამას წლები სჭირდება, დავიწყეთ ეს პროცესი.
ერთ რამესაც დავძენ. თევზის საკვები, მერიასთან შეთანხმებით, იყიდება ჩვენთან. 100-ლარიანი პაკეტები დავაფასოეთ. ლარად იყიდება 100 გრამი და ძალიან კარგადაც. დაახლოებით 2300 ლარამდე უკვე არის აქედანაც შემოსავალი. გამოდის, ის ხარჯი რომლის გაწევაც თევზების მოსავლელად

გვიწევს და წელიწადში დაახლოებით 7-8 ათასის გაღება, საკვების გაყიდვით შემოვიდა. უკვე, ფაქტობრივად, მოსახლეობა აჭმევს თავისი შენაძენით. აღნიშნული თანხა გამოთავისუფლდა და შეიძლება სხვა მიზნისთვის გამოვიყენოთ.
რაც შეეხება ხეების გამაგრებას. კონკრეტულად თუ მეტყვით რომელ ხეზეა საუბარი... წყლის მოშორებით იცვლება სიტუაცია. სანიაღვრე არხების მოწესრიგებით ეს პრობლემაც არ იარსებებს და წელს გვინდა ეს პროცესი დავასრულოთ, მაგრამ ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. მძიმე ტექნიკით ბოტანიკურ ბაღში ვერ შევალთ არხების გასათხრელად.

აზრი გამოთქვეს: ბესო გაბუნია: მეგობრებო, დროა გადავიდეთ ფინანსურ ნაწილზე. რამდენიმე შეკითხვა მექნება. შემოსავლები 870 000 იყო, რაც მუნიციპალიტეტმა დააფინანსა და 161 000 იყო ადგილობრივი შემოსავალი. აქედან თქვენ ნაწილი გრანტის სახით მიიღეთ - თითქმის 3000 ლარამდე. მაინტერესებს, როგორ მოიპოვეთ ეს გრანტი.
გასულ წელს ჩვენ ეს ა(ა)იპი უარყოფითად შევაფასეთ, რადგან სათანადო დოკუმენტაცია არ იყო წარმოდგენილი. დღესაც, ჩემი, როგორც ფინანსისტის გადასახედიდან ხარვეზს ვხედავ. ნათლად უნდა ჩანდეს რაც ხილული არ არის. როცა თქვენ მერიას წარუდგენთ ანგარიშს, ე. ი. გეგმა-პროგნოზი. პირობითად ვთქვათ, არაფინანსური აქტივები, რამდენი გაქვს დაგეგმილი საქონლის და მომსახურების და ა. შ. თავისი კოდით, მიმართულებით, გარკვეული ციფრები, თანხები, ეკონომიას აკეთებთ, გადახარჯეთ თუ... ამის მიხედვით შემეძლება მე შეფასების გაკეთება. ეს მონაცემები არ არის გასაგები. მომავალში, იმედია, გაითვალისწინებთ.

ბეჟან შანავა: კონკრეტულად რა, ბატონო ბესო, მე ვერ მივხვდი?

ბესო გაბუნია: გეგმა-პროგნოზი. ვთქვათ საქონლისა და მომსახურების ამდენი არის საჭირო. უნდა ჩამოწეროს და ამის მიხედვით ვაკეთებ მე შეფასებას. ბატონო შალვა, არ მეთანხმებით ამაში?
თუ ვინმესთვის გაუგებარია, შემიძლია ვისაუბრო, მაგრამ სულ ერთი და იგივე პრობლემები ხდება. ერთ-ერთ ა(ა)იპ-ის წარმოდგენილი ჰქონდა ზუსტად - რა ქონდა წარმოდგენილი, რა გახარჯა, რამდენი ეკონომია გააკეთა და ა. შ. სამომავლოდ გაითვალისწინეთ-მეთქი, თორემ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და არ გაძლევთ უარყოფით შეფასებას. პირიქით, მხარს გიჭერთ. ზედმეტი კითხვები არ უნდა გაჩნდეს, დოკუმენტაციაში უნდა ჩანდეს ყველაფერი. გმადლობ. მეტი შეკითხვა არ მაქვს.

ბეჟან შანავა: ბატონო ბესო, ყველა ა(ა)იპ-ის მოსმენასთან გაქვთ ერთი და იგივე შენიშვნა. მაშინ თქვენი გრაფიკი ჩამოაყალიბეთ, როგორ შეავსონ ეს ცხრილი, რა ფორმით მოგაწოდონ ის კოდები რასაც თქვენ ითხოვთ.
ბესო გაბუნია: მე არ ვარ ვალდებული, ვინმეს მივაწოდო რამე.

მოისმინეს: შალვა აგუმავა: თავიდანვე, როცა წარმოვადგინე ეს ანგარიში, პირველივე სლაიდზე იყო მოცემული, ვციტირებ: წარმოგიდგენთ ა(ა)იპ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის 2022 წლის ბიუჯეტით, წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად განხორციელებულ 2022 წლის საქმიანობის ანგარიშს. პრეზენტაციის რეჟიმში სახაზინო კოდებით როგორ უნდა ვისაუბრო. ფიზიკურად ამას ვერ ვახერხებ. ჩვენი საქმიანობის ნებისმიერი ეტაპი - დაგეგმვიდან, შეთანხმებიდან, შესყიდვის პროცედურებიდან, ყველაფერი არის ეტაპობრივად გავლილი. არანაირი პრობლემა არ არის. თუ გნებავთ მოგაწვდით ამ დოკუმენტაციას.

აზრი გამოთქვეს: ბესო გაბუნია: აქ უნდა ვხედავდე მე ამას. რა დაგეგმეთ, რა გახარჯეთ? გახარჯულს ვხედავ, დაგეგმილს არა.

მოისმინეს: შალვა აგუმავა: დაგეგმილი თუ არ არის ვერ გახარჯავ, თქვენც ხომ იცით, ბატონო ბესო.

აზრი გამოთქვეს: ბესო გაბუნია: აჩვენეთ მერე ეს აქ.

მოისმინეს: შალვა აგუმავა: ეს იყო ციფრები რომ გიჩვენეთ.

აზრი გამოთქვეს: ბესო გაბუნია: სამომავლოდ გაითვალისწინეთ-მეთქი. ახლა კი დადებით შეფასებას გაძლევთ ავანსად.

კონსტანტინე კაკავა: მადლობას გიხდით ყველას. მოსმენებში ყველა მხარე, ყველა ფრაქცია აქტიურად მონაწილეობს. ჩვენ წინა მოსმენებიდანაც მივიღეთ რეკომენდაციები, როგორც ვიცი ქალბატონი ბელა იყო ავტორი, შეკრა ეს რეკომენდაციები და მივიღეთ დოკუმენტი. ამ დოკუმენტის შესაბამისად, დავსხედით ა(ა)იპი-ების ხელმძღვანელებთან და შევიმუშავეთ ანგარიშების მოსმენის გარკვეული სტანდარტი. ქაოტური ინფორმაცია არ არის. პირველ გვერდად განვსაზღვრეთ „სარჩევი". ამ სარჩევში, რეკომენდაციების საფუძველზე, კიდევ ერთხელ ვიტყვი, ეს არ არის სრულად შესრულებული ის რეკომენდაციები, მაგრამ ჩვენი მხრიდანაც იყო დემოკრატიული ნაბიჯი თქვენს მიმართ გადადგმული, მზაობა და... მაკონტროლებელი და საზედამხედველო ფუნქცია გაქვთ. აქ წერია, მისია, ხედვა, ღირებულება რა იყო. მერე არის „ნარატივი". ამაში იგულისხმება შინაარსობრივი ანგარიში. ასევე არის ფინანსური ანგარიში და სხვა. ფინანსურ ნაწილში რასაც ამბობს ბატონი ბესო, არის ეს რეკომენდაცია და როგორც კი მივიღებთ ამ რეკომენდაციებს აბსოლუტურად გავითვალისწინებთ. ჯანსაღი რეკომენდაციაა. ითხოვა სახაზინო ამონაწერი წლის ბოლოს, რამდენი იყო დაგეგმილი პროგნოზი კონკრეტულ კოდში და რამდენი გაიხარჯა. რამდენიმე ა(ა)იპ-იმ, მათ შორის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლემ და ასევე ბატონმა შალვამ ფინანსურ ანგარიშში დაწერა თეთრი თეთრზე, მაგრამ აქ არ არის კოდის ამონაწერი. მანუჩარ სამუშიას და ბიბლიოთეკას ჰქონდა. დავუშვათ, 20 000 იჯდა და წლის ბოლოს სახაზინო ამონაწერით გახარჯული თანხა იყო 19 000 რაღაცა. ამას ითხოვს საფინანსო კომისიის თავმჯდომარე და გაძლევთ პირობას, როგორც კი მივიღებთ თქვენგან რეკომენდაციას, მომავალი წლის მოსმენებზე ამ პუნქტს მოვაწესრიგებთ და ჩვენი დოკუმენტებიც უფრო დაიხვეწება და შეივსება. მადლობა დიდი.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდია: ბატონო გიგა, თუ გაქვთ შეკითხვები ან რეკომენდაციები.

გიგა ფარულავა: არა, წარმატებებს ვუსურვებ!

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა აზრი არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს წარმოდგენილი ანგარიში შეაფასონ დადებითად ან უარყოფითად კენჭისყრით.

ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის შეფასებით გამოიკვეთა 10 მომხრე: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, ირაკლი გოგოხია, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ჯონი ჯიქია, დავით ფიფია, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

ოთარ ქადარია ხმის მიცემის პროცესს არ ესწრებოდა.

საფინანსო და სარევიზიო საკითხთა კომისიამ ერთხმად დადებითად შეაფასა აღნიშნული ანგარიში.

დაევალოს საკრებულოს აპარატს აღნიშნულ საკითხზე მოამზადოს დასკვნა.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი სორდია

სხდომის მდივანი: .....

ხელმოწერილია